სამედიცინო გაზეთი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო
უნივერსიტეტის გამოცემა

გამოდის 1957 წლიდან

№ 5 (323) მაისი, 2019 წელი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში 2019 წლის 23 მაისს დაფუძნდა სამედიცინო განათლების საერთაშორისო ასოციაციის (AMEE) წარმომადგენლობა – საქართველოში AMEE-ის საერთაშორისო თანამშრომლობის ცენტრი. ეს არა მხოლოდ თსსუ-ის, არამედ ქვეყნის წარმატებაა: საქართველო სამედიცინო განათლების საერთაშორისო ცენტრი გახდა, რაც მნიშვნელოვანი ნაბიჯია ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის გზაზე.

გვ 3

26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში თემატური ღონისძიებები გაიმართა. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინიციატივით, კამპანიის – „გააზიარე ცოდნა“ – ფარგლებში ქუთაისში წარმოდგენილი იყო შესაბამისი პავილიონები. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, ტრადიციულად, დამთვალიერებლებს მრავალფეროვან შემეცნებით და სანახაობრივ აქტივობებს სთავაზობდა.

გვ 7

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გ. ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკა ინტენსიური მოვლის და ნეონატალური განყოფილებებისთვის განკუთვნილი ახალი სამედიცინო აპარატურით აღიჭურვა. 400 000 ლარამდე ღირებულების აპარატურა კლინიკას ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასმა საქართველოში გადასცა.

გვ 5

თბილისის მერიის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს და საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციის ასოციაციის ორგანიზებით, მაისის დასაწყისში „სტუდენტური ფესტივალი – 2019“ ჩატარდა. თსსუ-ის კულტურის ცენტრთან არსებულ სიმღერისა და ცეკვის სახალხო ანსამბლ „ქართული ფოლკლორს“ I ადგილი და „საუკეთესო ქორეოგრაფიული ანსამბლის“ წოდება მიენიჭა, ასევე საპრიზო ადგილის მფლობელი გახდა სამეჯლისო ცეკვების ანსამბლი „ვეგა“. ამავდროულად, თსსუ-ს მიენიჭა ნომინაცია – „ყველაზე აქტიური უნივერსიტეტი“, რომლის დამადასტურებელი სიგელი ქალაქის მერმა კახი კალაძემ, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორს, პროფესორ რიმა ბერიაშვილს გადასცა.

გვ 4

„ადამიანის გენომი და ჯანმრთელობა – ტრანსლაციური მედიცინა ომიკების ერაში“

„საქართველო ვითარდება გენომურ მეცნიერებასა და მედიცინაში და ამაში დიდი წვლილი მიუძღვის კონფერენციის საორგანიზაციო გუნდსა და დეპარტამენტის ირგვლივ შემოკრებილ ენთუზიაზმით აღვსილ ახალგაზრდა პროფესიონალებს.“ (პროფესორი სოფია დოზგოუ).

2019 წლის 11-12 მაისს გაიმართა მეორე საერთაშორისო კონფერენცია – „ადამიანის გენომი და ჯანმრთელობა: ტრანსლაციური მედიცინა ომიკების ერაში“.

ღონისძიება მიზნად ისახავდა სამედიცინო გენეტიკის, ეპიგენეტიკის, გენომური მედიცინისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის გენომიკაში არსებული სიახლეების, ტენდენციებისა და მიღწევების გაცნობას პრაქტიკოსი ექიმებისთვის, ბიოსამედიცინო მიმართულების მეცნიერთათვის, სტუდენტებისა და გენეტიკით დაინტერესებული ფართო აუდიტორიისთვის და ურთიერთთანამშრომლობის პერსპექტივების დასახვას. კონფერენციაში მონაწილეობდნენ ქართველი მედიკოსები და უცხოელი მაღალი რანგის ექსპერტები ისეთი წამყვანი სამეცნიერო-კლინიკური ცენტრებიდან, როგორიცაა მეიოს კლინიკა (აშშ), ლიოვენის უნივერსიტეტი (ბელგია), ორჰუსის უნივერსიტეტი (დანია), ვიურცბურგისა და როსტოკის უნივერსიტეტები (გერმანია), კალიფორნიის უნივერსიტეტი (აშშ), საუთჰემპტონისა და მანჩესტერის უნივერსიტეტები (გაერთიანებული სამეფო), ამსტერდამის უნივერსიტეტი (ნიდერლანდები) და ა.შ. ღონისძიების ორგანიზატორები – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მოლეკულური და სამედიცინო გენეტიკის დეპარტამენტი და სამედიცინო გენეტიკის და ეპიგენეტიკის საქართველოს საზოგადოება. კონფერენცია დაფინანსდა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ.

კონფერენციის მრავალფეროვანი თემატიკა მოიცავდა შემდეგ საკითხებს: პერსონალიზებული/ზუსტი საზოგადოებრივი ჯანდაცვის კონცეფციას და პერსპექტივებს, „გენომური ცოდნის“ მნიშვნელობას დაავადებათა დიაგნოზირებასა და მკურნალობაში; ტრანსლაციური მედიცინის მნიშვნელობას, ბიომარკერების დახასიათებას და გამოყენებას საბაზისო და კლინიკურ კვლევებში. აღსანიშნავია, რომ ღონისძიების ფარგლებში, ძირითადი აქცენტი გაკეთდა პრაქტიკულად მომუშავე ექიმებისთვის გენომიკის, ეპიგენომიკის და სხვა „ომიკების“ მნიშვნელობაზე.

კონფერენციის მთავარი/წამყვანი მოხსენება წაიკითხა იონგლუნ ლუომ (ორჰუსის უნივერსიტეტი, დანია). მან განიხილა CRISPR-ზე დაფუძნებული გენომური ტექნოლოგიების ინტეგრირების საშუალებით რეგენერაციული მედიცინის ტრანსფორმირების პერსპექტივები.

კონფერენცია გახსნა, სტუმრებს სიტყვით მიმართა და ღონისძიების მნიშვნელობასა და მიზნებზე ისაუბრა თსსუ მოლეკულური და სამედიცინო გენეტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა და საქართველოს სამედიცინო გენეტიკისა და ეპიგენეტიკის საზოგადოების პრეზიდენტმა, პროფესორმა ელენე აბზიანიძემ, რომელმაც წაიკითხა მოხსენება გენომური მედიცინის საგანმანათლებლო ინიციატივებზე საქართველოში, სახელდობრ, განიხილა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში განხორციელებული მნიშვნელოვანი სამეცნიერო-საგანმანათლებლო ძვრები, მათ შორის, საერთაშორისოდ აღიარებული სასწავლო ლიტერატურის თარგმნა, აშშ-სა და ევროპის წამყვან ქვეყნებში არსებული კურიკულუმების იმპლემენტირება ქართულ ბიოსამედიცინო სივრცეში, სტუდენტური აქტივობების მნიშვნელობა და ა.შ.

კონფერენციის დასასრულს გაიმართა დნმ-ის დღესთან დაკავშირებული ესეების კონკურსში მონაწილე გამარჯვებული სტუდენტების დაჯილდოების ცერემონიალი. სამედიცინო გენეტიკის და ეპიგენეტიკის საზოგადოების სახელით მათ გადაეცათ სერტიფიკატები და ფულადი ჯილდოები, მათ შორის იყო თსსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი მერაბ კვინტრაძე. აღსანიშნავია, რომ დეპარტამენტი მუდმივ მზადყოფნას იჩენს, გენეტიკით დაინტერესებული სტუდენტების ხელშეწყობისა და მრავალმხრივი განვითარებისთვის.

კონფერენციის ფარგლებში დაიგეგმა კოლაბორაციული კვლევითი და საგანმანათლებლო პროექტები და ურთიერთთანამშრომლობის სამომავლო პერსპექტივები.

ალექს რაზუმოვსკის საჯარო დექცია

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში გაიმართა ლექცია-სემინარი ,,ცერებროვასკულური დაავადებების და ინსულტის დროს ტრანსკრანიული დოპლეროგრაფიის მეთოდების გამოყენება“, რომელიც, მოწვეულმა სტუმარმა, ალექს რაზუმოვსკიმ (PhD, FAHA, NVS – აშშ) წაიკითხა.

ლექციის დაწყებამდე დამსწრე საზოგადოებას მიესალმა და მომხსენებელი აუდიტორიას წარუდგინა, თსსუ-ის რადიოლოგიის მიმართულების ასისტენტ-პროფესორმა, ამავდროულად, ნევროლოგთა მსოფლიო ფედერაციის ნეიროსონოლოგიური კვლევის ჯგუფის (NSRG WFN) აღმასრულებელი კომიტეტის წევრმა და ცერებრული ჰემოცირკულაციის და ნეიროსონოლოგიის საქართველოს საზოგადოების (GSNCH) პრეზიდენტმა მარინა ალფაიძემ.

აუდიტორიას მიესალმნენ: თსსუ-ის ვიცე-რექტორი, პროფესორი რიმა ბერიაშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი ალექსანდრე ცისკარიძე და მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პ.სარაჯიშვილის სახელობის ნევროლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი რომან შაქარიშვილი. მათ სტუმარს მადლობა გადაუხადეს ვიზიტისთვის.

ალექს რაზუმოვსკი არის TCD კონსულტანტი, ასევე, ნევროლოგიის მსოფლიო ფედერაციის ნეიროსონოგრაფიული კვლევის ჯგუფის მდივანი, ამერიკის ნეიროიმიჯინგის საზოგადოების ნეიროვასკულური კვლევის სპეციალისტთა საგამოცდო კომიტეტის თავმჯდომარე. მან აუდიტორიას ცერებროვასკულური დაავადებების მკურნალობის მიმართულებით ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებული გამოცდილება გაუზიარა.

ვიზიტი ემორის უნივერსიტეტში

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის მცირე ჯგუფის კოორდინატორები ათდღიანი ვიზიტით იმყოფებოდნენ ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლაში. მედიკოსების: გვანცა ვარდოსანიძის, ნანი ყავლაშვილის, გვანცა მეცხვარიშვილის, ნინო თორიას, ელენე აზმაიფარაშვილისა და ნინო ქანთარიას ატლანტაში მივლინების მიზანი ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლაში მომუშავე ამერიკელი კოლეგებისგან მცირე ჯგუფებთან მუშაობისა და ჯგუფების კოორდინირების პრინციპების შესახებ გამოცდილების მიღება იყო.

ვიზიტის ფარგლებში, მცირე ჯგუფის კოორდინატორებს შეხვედრა ჰქონდათ ემორის უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან, მათ შორის, ასისტენტ-დეკანთან, პროფესორ გორდონ ჩარჩვორდთან. სწორედ მისი ორგანიზებით დაესწრნენ ამერიკული პროგრამის წარმომადგენლები ემორის უნივერსიტეტში რამდენიმე (მათ შორის, აკადემიური პერსონალის განვითარების) ტრენინგს. შეხვედრა შედგა ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის კლინიკური ჩვევების ცენტრის ხელმძღვანელ ჯინა შენონთანაც, რომლის მხარდაჭერითა და შუამდგომლობით მცირე ჯგუფის კოორდინატორებმა მონაწილეობა მიიღეს ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდისთვის (OSCE) მზადების სამუშაო პროცესში და დააკვირდნენ გამოცდის მიმდინარეობას, დაესწრნენ გამოცდისშემდგომი შეფასების პროცესს. გარდა ამისა, სტანდარტიზებულ პაციენტთან და მიწვეულ სპეციალისტთან ერთად, განიხილეს განსაკუთრებით რთული შემთხვევები, მათ შორის, რთულ პაციენტთან ურთიერთობის გამოწვევები.

ექიმმა ლიზა ბერსტეინმა ქართველ კოლეგებს გააცნო „გახდი ექიმის“ კურსის კურიკულუმი, მცირე ჯგუფების კოორდინატორების მუშაობის პრინციპები, მათი პროფესიული განვითარებისა და სტუდენტებთან მუშაობის ძირითადი ასპექტები.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი მუდამ ზრუნავს პერსონალის განვითარებასა და კარიერულ წინსვლაზე. თსსუ-ის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის კოორდონატორები ემორის უნივერსიტეტში მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას გამოიყენებენ პროგრამის სტუდენტებთან ურთიერთობაში, სწავლების პროცესის მაღალ დონეზე დაგეგმვასა და მის სწორად განხორციელებაში.

სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია ენდოდონტიაში

2 მაისს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის, საქართველოს სტომატოლოგთა პროფესიული ასოციაციისა და კომპანია „New Line Dental“-ის ორგანიზებით, გაიმართა სტომატოლოგთა რიგით მე-4 სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია ენდოდონტიაში: „რეციპროკაციის ფილოსოფია და ახალი რეციპროკული სისტემის – R-Pilot-ის შესაძლებლობები და ეფექტურობა, პირველადი და განმეორებითი ენდოდონტია, არხთა ობტურაცია“.

კონფერენცია ოფიციალურად გახსნა და სტუმრებს მიესალმა ოდონტოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი მარინა მამალაძე, რომელმაც კონფერენციის მნიშვნელობაზე და ოდონტოლოგიაში მიმდინარე სიახლეებზე ისაუბრა.

ღონისძიების ფარგლებში, ამერიკის და ევროპის ენდოდონტიის ასოციაციის წევრმა, ფერარას უნივერსიტეტის ენდოდონტიის დეპარტამენტის პროფესორმა, დიდი პრაქტიკული გამოცდილების მქონე ექიმმა და კომპანია „VDW“-ს სპიკერმა, ენრიკო კასაიმ (იტალია), წარმოადგინა პრეზენტაცია თემაზე – „სიახლეები მარტივი და პროგნოზირებადი ენდოდონტიისთვის“. პროფესორ კასაის ხედვა ოდონტოლოგიის ამ ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებაში ემთხვევა სტომატოლოგიაში იტალიური სკოლის Stile Italiano-ს კონცეფციას.

კონფერენციას ესწრებოდნენ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტები, რეზიდენტები, აკადემიური პერსონალი და ამ დარგში მოღვაწე სხვადასხვა კლინიკის წარმომადგენლები.

ღონისძიება აუდიტორიის მაღალი ჩართულობითა და დიდი ინტერესით გამოირჩეოდა. კონფერენციის ბოლოს გაიმართა დისკუსია.

ვიზიტი ბოლონიაში

9-11 მაისს, ბოლონიაში (იტალია) ადჰეზიური სტომატოლოგიის საერთაშორისო აკადემიისა და იტალიის ოდონტოლოგიისა და კონსერვატიული სტომატოლოგიის აკადემიის ერთობლივი კონგრესი – „კბილთა ცვეთა – სტომატოლოგიის პრობლემა და მისი გადაჭრის ადჰეზიური გზა“ – გაიმართა, რომელსაც თსსუ-ის ოდონტოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი მარინა მამალაძე ესწრებოდა.

პროფესორი მარინა მამალაძე კონგრესზე წარდგა მოხსენებით – „კბილთა ფესვის არხების ობტურაციის ხარისხის შეფასება სხვადასხვა ტექნიკის გამოყენებით“.

კონგრესის ფარგლებში გაშუქდა ესთეტიკური სტომატოლოგიის უმნიშვნელოვანესი საკითხი – პირდაპირი და არაპირდაპირი რესტავრაციებით კბილთა ანატომიისა და ფუნქციის რეაბილიტაცია, მათი ცვეთის პირობები.

აღსანიშნავია ის, რომ მოხსენებათა თეზისები საერთაშორისო პერიოდულ გამოცემაში – Journal of Adhesive Dentistry – გამოქვეყნდება.

კიბოს იმუნოთერაპიისა და იმუნომონიტორინგის მე-6 საერთაშორისო კონფერენცია

თბილისში, სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიაში“, ჩატარდა კიბოს იმუნოთერაპიისა და იმუნომონიტორინგის მე-6 საერთაშორისო კონფერენცია, რომლის ლოკალური ორგანიზატორი იყო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა 200-მდე მეცნიერი და ექიმი, მათგან 130 იყო მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელი. გაიმართა 14 პლენარული სესია, რომელზეც მოისმინეს 62 მოხსენება. მომხსენებლებს შორის იყვნენ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წარმომადგენლები: პროფესორი თინათინ ჩიქოვანი და ასოცირებული პროფესორი ნონა ჯანიკაშვილი.

პლენარული სესიების გარდა, იყო პოსტერული სესია, სადაც გამოვლინდა 6 გამარჯვებული, რომელთაც საშუალება მიეცათ კონფერენციის ბოლო დღეს ფართო აუდიტორიის წინაშე წარმოედგინათ საკუთარი კვლევები.

კონფერენციაზე წარმოდგენილი და განხილული იქნა კიბოს დიაგნოსტიკის, მკურნალობისა და მონიტორინგის ახალი ხედვები და კვლევების უახლესი შედეგები. ქართველ ექიმებსა და მეცნიერებს საშუალება ჰქონდათ, დაემყარებინათ ახალი კონტაქტები მსოფლიოს წამყვან სპეციალისტებთან. კონფერენციას დიდი ინტერესი ჰქონდა ახალგაზრდების მხრიდან.

აღსანიშნავია, რომ კონფერენციის თბილისში ჩატარება განაპირობა უცხოეთში მოღვაწე ცნობილი ქართველი ექიმების ინიციატივამ. ესენი იყვნენ კონფერენციის საერთაშორისო საორგანიზაციო კომიტეტის წევრები: აშშ-ში მოღვაწე უროლოგი, პროფესორი გიორგი გურული და ესპანეთიდან გრანადას უნივერსიტეტის პროფესორი ნატალია აფციაური. კონფერენციაზე მოხსენებით წარდგა თსსუ-ის კურსდამთავრებული, კომპანია „სელმაქს ლაიფის“ (კალიფორნია, აშშ) კლინიკური დირექტორი, მედიცინის დოქტორი მანანა კვეზერელი.

შარიტე ბერლინის სამედიცინო უნივერსიტეტის დელეგაციის ვიზიტი

20 მაისიდან 24 მაისის ჩათვლით, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს საპატიო დელეგაცია სტუმრობდა. შარიტე ბერლინის (გერმანია) სამედიცინო უნივერსიტეტის კლინიკის აკადემიურმა პერსონალმა და საერთაშორისო ურთიერობების დეპარტამენტის ხელმძღვანელობამ, ერასმუს+ საერთაშორისო მობილობის პროექტის ფარგლებში, სტუდენტებისთვის წაიკითხეს ლექციები, მოინახულეს უნივერსიტეტის კლინიკები. გერმანელი პროფესორების ვიზიტს წინ უძღოდა თსსუ-ის დელეგაციის სტუმრობა ჰუმბოლტის უნივერსიტეტში.

საქართველო-გერმანიის ურთიერთობებს, მათ შორის შარიტე ბერლინის და თსსუ-ს შორის ურთიერთთანამშრომლობას საფუძველი ჩაუყარა აწ.განსვენებულმა უცხოური ენების ცენტრის ხელმძღვანელმა, პროფესორმა მანანა ქუთელიამ. სიმბოლურია, რომ სტუმრების ვიზიტი 20 მაისს, – ქალბატონი მანანას დაბადების დღეს დაემთხვა. უცხოური ენების ცენტრი (ცენტრის ხელმძღვანელი პროფესორი ნინო აბრალავა), აგრძელებს დაწყებულ ქართულ-გერმანულ ურთიერთობებს.

ოფიციალურ მიღებაზე სტუმრებს შეხვდნენ და პრეზენტაციები გააკეთეს პროფესორებმა ნინო აბრალავამ, გია თომაძემ და ერასმუს+ კოორდინატორმა ნინო კანდელაკმა, მიღებას ესწრებოდა ასევე თსსუ-ს აკადემიური პერსონალი და ერასმუს+ ყოფილი სტიპენდიატები.

სამუშაო შეხვედრის დროს, სტუმრებთან ერთად განიხილეს სამომავლო ურთიერთთანამშრომლობის გეგმები და გაცვლითი პროგრამები.

სტუმრებს შეხვდა და მათ კითხვებს უპასუხა გერმანიის აკადემიური გაცვლითი სამსახურის DAAD-ის ხელმძღვანელმა ბ-ნმა გებჰარდ როილმა.

ვიზიტის დასასრულს, სტუმრებს სერტიფიკატები გადასცეს: უცხოური ენების ცენტრის დირექტორმა, პროფესორმა ნინო აბრალავამ, ერასმუს+ ინსტიტუციურმა კოორდინატორმა ნინო კანდელაკმა.

ერთი კვირის განმავლობაში სტუმრებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესებში.

შემაჯამებელ შეხვედრაზე შარიტე ბერლინის სამედიცინო უნივერსიტეტის საერთაშორისო დეპარტამენტის ხელმძღვანელობამ, თსსუ-ს ერასმუს+ კოორდინატორმა ნინო კანდელაკმა და უცხოური ენების ცენტრის დირექტორმა, პროფესორმა ნინო აბრალავამ განიხილეს 2019-2021 წლების პროგრამის დეტალები. შეჯერდნენ შემდეგი ორი წლის განმავლობაში სტუდენტების და პროფესორების მობილობის რაოდენობასა და ვადებზე.

გერმანელ კოლეგებთან თანამშრომლობის სამომავლო გეგმები, ქართველ სტუდენტებს, რეზიდენტებსა და ექიმებს ევროპული გამოცდილებისა და ცოდნის გაღრმავების საუკეთესო შესაძლებლობას მისცემს.

სამედიცინო განათლება – ორიენტირი მომავლისკენ

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში 2019 წლის 23 მაისს დაფუძნდა სამედიცინო განათლების საერთაშორისო ასოციაციის (AMEE) წარმომადგენლობა – საქართველოში AMEE-ის საერთაშორისო თანამშრომლობის ცენტრი. ეს არა მხოლოდ თსსუ-ის, არამედ ქვეყნის წარმატებაა: საქართველო სამედიცინო განათლების საერთაშორისო ცენტრი გახდა, რაც მნიშვნელოვანი ნაბიჯია ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის გზაზე.

სამედიცინო განათლების საერთაშორისო ასოციაციის (AMEE) წარმომადგენლობა – საქართველოში AMEE-ის საერთაშორისო თანამშრომლობის ცენტრის დაარსებისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებას დაესწრნენ: საქართველოს პრემიერ-მინისტრი **მამუკა ბახტაძე**, პრემიერ-მინისტრის მრჩეველი განათლების საკითხებში **მიხეილ ჩხენკელი,** განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი **მიხეილ ბატიაშვილი**, პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე **მარიამ ჯაში**, პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე **აკაკი ზოიძე**, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე **ზაზა ბოხუა** და სხვა საპატიო სტუმრები.

ღონისძიება გახსნა და სტუმრებს მიესალმა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი **ზურაბ ვადაჭკორია**:

„თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა სწავლის და სწავლების ხარისხის გაუმჯობესება.

2011-14 წლებში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი მონაწილეობდა ევროკომისიის მიერ დაფინანსებულ პროექტში „სამედიცინო განათლების მოდერნიზაცია ევროკავშირის აღმოსავლეთ სამეზობლო ქვეყნებში“. ამ პროექტის ძირითადი კოორდინატორი იყო ლიდსის უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების ინსტიტუტის დირექტორი, ამჟამად სამედიცინო განათლების საერთაშორისო ასოციაციის (AMEE) პრეზიდენტი, პროფესორი **ტრუდი რობერტსი.** პროექტი ძალიან წარმატებული აღმოჩნდა, რაც აღინიშნა ევროკომისიის მიერ. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ყველას ახსოვს პროფესორ ტრუდი რობერტსის შეფასება: „თსსუ-ში მიმდინარე გარდაქმნები რევოლუციურია სამედიცინო განათლებაში“. სწორედ ამ პროექტის შემდგომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა პროფესორთა გადამზადების ცენტრი, რომელიც წარმატებით ფუნქციობს დღესაც. ამ პროექტის მიზანი იყო სამედიცინო განათლების ევროპულ სტანდარტებთან მიახლოება და საბოლოოდ ამ სტანდარტებზე გადაყვანა. განხორციელებულმა რეფორმებმა მოიტანა ის, რომ დღეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ყველაზე მოთხოვნადი სამედიცინო განათლების კერაა არა მარტო საქართველოში, არამედ მსოფლიოს 68 ქვეყნისთვისაც. დღეს თსსუ-ში მსოფლიოს 68 ქვეყნის 2300-ზე მეტი ახალგაზრდა სწავლობს, მეტიც – მედიცინის ფაკულტეტზე საერთაშორისო სტუდენტები 40%-ს შეადგენს. ამ გარდაქმნების გამო განხორციელდა ის, რასაც დღეს ვზეიმობთ – თსსუ-ში იხსნება სამედიცინო განათლების საერთაშორისო ცენტრი. ამ ცენტრის გახსნაში უდიდესი როლი მიუძღვის პროფესორ **ტრევორ გიბსს** – AMEE-ის დირექტორატის წევრს, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის და სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME) კონსულტანტს სამედიცინო განათლების საკითხებში.

თსსუ-ის რექტორმა ისაუბრა იმ გზაზე, რაც უნივერსიტეტმა გაიარა საერთაშორისო წარმატების მიღწევისთვის და მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც მონაწილეობდა ამ რთულ და შრომატევად პროცესში. მან, ასევე, მადლობა გადაუხადა პრემიერ-მინისტრს გადაწყვეტილების გამო, რომლის მიხედვითაც მედიცინის ისტორიის მუზეუმი თსსუ-ს შეუერთდა.

საქართველოში AMEE-ის საერთაშორისო თანამშრომლობის ცენტრის დაარსებას დიდი მნიშვნელობის მოვლენა უწოდა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, **მამუკა ბახტაძემ**:

„გილოცავთ დღევანდელ დღეს, რომელიც არა მარტო სამედიცინო საზოგადოებისთვის არის განსაკუთრებული დღე, არამედ, ვფიქრობ, მთელი სამეცნიერო საზოგადოებისთვისაც. საქართველო ხდება სამედიცინო განათლების საერთაშორისო ასოციაციის რეგიონული ცენტრი, რაც, ამავე დროს, უმნიშვნელოვანესი ნაბიჯია იმისკენ, რომ ჩვენ ეფექტურად ვიყოთ ინტეგრირებული საერთო ევროპულ სივრცეში. AMEE-ს აქვს ორი რეგიონული ცენტრი და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი იქნება მესამე, რომელიც ჩვენი რეგიონის გარდა დაფარავს ევროპის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილს“.

პრემიერ-მინისტრის შეფასებით, საქართველოს აქვს პოტენციალი, დაახლოებით ორი მილიარდი ლარის ღირებულების სამედიცინო სერვისი შესთავაზოს სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეებს. მამუკა ბახტაძის განცხადებით, **ქართველი ერისთვის, სამედიცინო განათლება არის ძალიან მნიშვნელოვანი ტრადიცია და, ამავე დროს, ორიენტირი მომავლისკენ.**

„მე ძალიან ბევრი კრიტიკაც მომისმენია ჩემი ინიციატივის შესახებ, რომლის მიხედვითაც ჩვენი ქვეყნის ბიუჯეტის მეოთხედი უნდა მივმართოთ განათლებისკენ. რა თქმა უნდა, ქვეყანაში, რომელიც ჯერ კიდევ ებრძვის სიღარიბეს, ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება. ვფიქრობ, ეს ყველაზე გაბედული ნაბიჯია, რაც კი გადაგვიდგამს დღიდან ჩვენი დამოუკიდებლობისა. ამავე დროს, ღრმად მწამს, რომ ეს არის ერთადერთი სწორი გზა და გარანტი იმისთვის, რომ საქართველო, როგორც სახელმწიფო იქნება წარმატებული 21-ე საუკუნეში. ბუნებრივია, სამედიცინო საზოგადოება, ისევე, როგორც იყო ეს ბოლო ათწლეულების განმავლობაში, იქნება ამ პროგრესის ავანგარდში“, – აღნიშნა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა.

აუდიტორიას მიმართა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა **მიხეილ ბატიაშვილმა:**

„დღეს მნიშვნელოვანი დღეა – ჩვენი ეროვნული იდეა – განათლების პრიორიტეტულობა მართლაც ხდება ყველაზე აქტუალური და მნიშვნელოვანი წინსვლის გარანტი.

მინდა შეგახსენოთ ბოლო პერიოდში გადადგმული ნაბიჯები, რომელიც ეხმაურება ამ ეროვნულ იდეას. ჩვენი ერთ-ერთი მთავარი მიზანი საქართველოს საგანმანათლებლო სისტემის ევროპულ სივრცეში ინტეგრაციაა.

მნიშვნელოვანია, რომ უკანასკნელი 7 თვის განმავლობაში საქართველოსთვის ეს უკვე მეორე აღიარებაა სამედიცინო განათლების საერთაშორისო ჰაბად: თავდაპირველად, 2018 წლის ნოემბერში, საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME) მიერ მააკრედიტებელი სააგენტოს სტატუსი მიენიჭა, ახლა კი უკვე AMEE-ის წარმომადგენლობა იხსნება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში“.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტსა და საქართველოს მნიშვნელოვანი წარმატება მიულოცა პროფესორმა **ტრევორ გიბსმა** (AMEE-ის დირექტორატის წევრი, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის და სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME) კონსულტანტი სამედიცინო განათლების საკითხებში). მან გაიხსენა როგორ მიატოვა პრაქტიკული სამედიცინო საქმიანობა და როგორ მიუძღვნა თავი სამედიცინო განათლების სრულყოფის საკითხების გადაწყვეტას. „მჯერა, რომ ხარისხიანი სამედიცინო განათლება ყველაზე დიდ გავლენას მოახდენს ჯანმრთელობის დაცვის საქმეში. ყველაფერი იცვლება ძალიან სწრაფად. იცვლება დაავადებებიც და შესაბამისად, უნდა შეიცვალოს სამედიცინო განათლებაც. საჭიროა ახალი მიდგომები. ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ მიზნის მისაღწევად“, – აღნიშნა მან.

დასასრულ, საზეიმო ღონისძიებაზე შეკრებილთ წარუდგინეს AMEE-ის გენერალური მდივნის, **რონალდ ჰარდენის** ვიდეო-მიმართვა.

ღონისძიებაზე ხელი მოეწერა მემორანდუმს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტსა და სამედიცინო განათლების საერთაშორისო ასოციაციას შორის, საქართველოში AMEE-ის საერთაშორისო თანამშრომლობის ცენტრის გახსნის თაობაზე.

საქართველოში AMEE-ის საერთაშორისო თანამშრომლობის ცენტრის ძირითადი მიზანი იქნება სამედიცინო განათლების თანამედროვე მეთოდოლოგიების გაზიარება, თემატური ტრენინგების ჩატარება რეგიონის უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლების აკადემიური, ადმინისტრაციული პერსონალის, სამედიცინო განათლების ექსპერტების და სხვა დაინტერესებული სტრუქტურების წარმომადგენლებისთვის.

პირველი ხუთდღიანი კურსი დაიწყო 20 მაისიდან – „ძირითადი უნარ-ჩვევები სამედიცინო განათლებაში“. ტრენინგს უძღვება AMEE-ს დირექტორატის წევრი, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის და სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME) კონსულტანტი სამედიცინო განათლების საკითხებში, პროფესორი **ტრევორ გიბსი**. AMEE-ის ოთხი კურსის გავლის შემდეგ მონაწილეებს მიენიჭებათ საერთაშორისოდ აღიარებული AMEE-ის სამედიცინო განათლების სპეციალისტის სტატუსის დამადასტურებელი სერტიფიკატი.

მომავალში დაგეგმილია სასწავლო კურსები: სტუდენტთა ცოდნის შეფასების, სამეცნიერო კვლევის, აკადემიური პერსონალის სწავლების უნარების შეფასების, სამედიცინო განათლების მენეჯმენტის, სიმულაციის და კლინიკური სწავლების საკითხებზე.

ქართულ ენაზე გამოიცემა AMEE-ის ჟურნალის – „Medical Teacher“ – დაიჯესტი, სამედიცინო განათლების AMEE-ის სტანდარტები.

23 მაისი ისტორიული დღეა, ეს არის დიდი შრომის ფასად მიღწეული შედეგი, რომელიც მოტივაციაა კიდევ უფრო დიდი მიღწევებისთვის, – აღნიშნა თსსუ-ის რექტორმა, პროფესორმა ზურაბ ვადაჭკორიამ.

„სტუდენტური ფესტივალი – 2019“

თბილისის მერიის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს და საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციის ასოციაციის ორგანიზებით, მაისის დასაწყისში „სტუდენტური ფესტივალი – 2019“ ოლიმპიური პარკის ტერიტორიაზე მოწყობილ სტუდენტურ ქალაქში ჩატარდა, მასში მონაწილეობდნენ საქართველოს საუნივერსიტეტო ქალაქებში მოქმედი 36 უმაღლესი სასწავლებლის 50 000-მდე ქართველი და საერთაშორისო სტუდენტი.

ფესტივალის 10 სახალისო, ფერადი დღე საკონკურსო და არასაკონკურსო აქტივობებს მოიცავდა: სპორტულ შეჯიბრებებს – ფეხბურთში, კალათბურთში, ფრენბურთში; სტუდენტურმა შემოქმედებითმა ჯგუფებმა წარმოადგინეს – ქართული და თანამედროვე ცეკვა; ხალხური სიმღერა და მუსიკალური ბენდები; ჩატარდა ეთნოკულინარიული გამოფენა; მეწარმე სტუდენტთა ნამუშევრების გაცნობა.

16 მაისს საზეიმოდ დაიხურა „სტუდენტური ფესტივალი –2019“. ქალაქის მერმა კახი კალაძემ, სიტყვით მიმართა მონაწილეებს: „მიხარია ამდენ ახალგაზრდას, რომ გხედავთ ერთად შეკრებილთ. იმედი მაქვს, ასეთი სახის ფესტივალი ტრადიციად დამკვიდრდება, დედაქალაქის მთავრობა ყოველთვის თქვენ გვერდითაა, ქალაქისთვის მნიშვნელოვან პროექტებში, ქვეყნის წინსვლისთვის უმნიშვნელოვანესია ახალგაზრდების მონაწილეობა. გილოცავთ, და წარმატებებს გისურვებთ თითოეულ მონაწილეს და უნივერსიტეტების ხელმძღვანელობას, მოპოვებული ჯილდოები სამომავლო ახალი წარმატებების მომტანი ყოფილიყოს თქვენთვის“.

ფესტივალმა გამარჯვებულები გამოავლინა. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი მეორე ადგილის მფლობელი ფესტივალზე მოპოვებული ჯამური ქულებით გახდა.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხარდაჭერით და სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით, ქართველი და საერთაშორისო სტუდენტები აქტურად ჩაერთნენ ამ მასშტაბურ ღონისძიებაში. ჯერ კიდევ წინასაფესტივალო დღეებში დაიწყო მზადება. მონაწილენიც ბევრნი იყვნენ და გულშემატკივარიც. ყველაფერი კარგად დაგეგმეს, საუკეთესოდ რომ წარმოჩენილიყვნენ, არამარტო საქართველოში, არამედ მსოფლიოში სახელგანთქმული უმაღლესი სასწავლებლის – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტობა.

თსსუ-ის სტუდენტების ინიციატივით, მცირე დროში შემდგარმა ბენდმა – „Bona Dea“-მ ბენდების კონკურსში I ადგილი მოიპოვა და მონაწილეთა სიმპათია დაიმსახურა. მომავალშიც ისინი არაერთი წარმატებით გაახარებენ მსმენელს.

თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის განათლების დეპარტამენტის (ხელმძღვანელი თამარ ფუტკარაძე) ორგანიზებით, ფესტივალის ფარგლებში ჩატარდა: „სისხლის უანგარო დონაცია,“ „C ჰეპატიტის უფასო სკრინინგი“, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს და დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის მხარდაჭერით ტუბერკულოზის, ჰიპერტენზიის, წითელას ვაქცინაციის და თამბაქოს საწინააღმდეგო საინფორმაციო სტენდები მოეწყო.

თსსუ-ის კულტურის ცენტრთან არსებულ სიმღერისა და ცეკვის სახალხო ანსამბლს – „ ქართული ფოლკლორი“, I ადგილი და „საუკეთესო ქორეოგრაფიული ანსამბლის“ წოდება მიენიჭა, ასევე საპრიზო ადგილის მფლობელი გახდა სამეჯლისო ცეკვების ანსამბლი „ვეგა“. ამავდროულად თსსუ-ს მიენიჭა ნომინაცია – „ყველაზე აქტიური უნივერსიტეტი“, რომლის დამადასტურებელი სიგელი ქალაქის მერმა კახი კალაძემ, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორს, პროფესორ რიმა ბერიაშვილს გადასცა.

ფესტივალის ირგვლივ თავიანთი აზრი გამოთქვეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებმა:

ანა კაკაბაძე – (სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი): თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობა მადლობას უხდის საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციას ასეთი მასშტაბური ახალგაზრდული ფესტივალის ჩატარებისთვის. თსსუ ფესტივალის ყველა მიმართულებით საუკეთესოდ წარდგა და საკმაოდ კარგი შედეგი აჩვენა. სტუდენტური თვითმმართველობა მომავალშიც აქტიურ მხარდაჭერას გამოუცხადებს სტუდენტთა ნებისმიერ ინიციატივას და უფრო მეტ წარმატებას გპირდებით.

ნინი სახანბერიძე – (სტუდენტური თვითმმართველობის ვიცე-პრეზიდენტი): აღნიშნული ნომინაციები ნამდვილად საამაყოა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისთვის. უღრმესი მადლობა გვინდა გადავუხადოთ ადმინისტრაციას და აქტიურ სტუდენტებს, რომლებიც ფესტივალის ფარგლებში უშრეტი ენერგიით იბრძოდნენ საკუთარი უნივერსიტეტის წარმატებისთვის.

თამუნა ტუკვაძე – (მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტი, თსსუ-ის მუსიკალური ბენდის „Bona Dea“-ს ნევრი): ჩემთვის განსაკუთრებით წარმატებული აღმოჩნდა ფესტივალში მონაწილეობა. მუსიკალური ბენდი „Bona Dea” გახდა წლის საუკეთესო ბენდი და პირველი ადგილი მოვიპოვეთ. მადლობა გულშემატკივარს, თანადგომისა და სიყვარულისთვის.

ფესტივალი დამთავრდა, თუმცა, ახალგაზრდების მზადყოფნა და სურვილი მუდმივია ახალ აქტივობებში მონაწილეობის მისაღებად. ხალისიანმა დღეებმა მათ, სწავლასთან ერთად, აქტიური დასვენების, დამეგობრების, გართობის, საკუთარი ძალების მოსინჯვის საშუალება მისცეს. საუკეთესო გარემომ, მუსიკალურმა გაფორმებამ, ცნობილი ადამიანების სტუმრობამ მეტი ფერადოვნება და ხალისი შემატა ფესტივალის დაუვიწყარ ათ დღეს.

ევროპის იმუნიზაციის კვირეული

2019 წლის 19 აპრილს, ევროპის იმუნიზაციის კვირეულთან დაკავშირებით, თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის ეგიდით, მოეწყო შეხვედრა აუტოიმუნური დაავადებების შესახებ. ლექცია წაიკითხა მედიცინის ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა თინათინ ჩიქოვანმა. მან ისაუბრა ისეთ აქტუალურ თემაზე, როგორიცაა ვაქცინაცია.

„საკითხის აქტუალობა განაპირობა მდგომარეობამ, რაც, დღესდღეობით, ამ მიმართულებით არსებობს ჩვენს ქვეყანაში და, ზოგადად, მსოფლიოში. ამჯერად საქმე შეეხება წითელასა და წითურას ვაქცინაციას, ვინაიდან წელს აღნიშნული დაავადებების საკმაოდ ბევრი შემთხვევა დაფიქსირდა და ერთადერთი ხერხი, რითაც ჩვენ შეგვიძლია ეს შევაჩეროთ, არის ვაქცინაცია“, – აღნიშნა პროფესორმა თინათინ ჩიქოვანმა.

ლექციის შემდეგ, კლუბ „მედისინემას“ მხარდაჭერით, მოეწყო კინოჩვენება „Rain on fire“, რომელიც დაფუძნებულია სუზანა კოჰელანის რეალურ ამბავზე და იმ „მაგიურ დაავადებაზე“, რომელსაც კოჰელანი ებრძოდა.

საინტერესო შეხვედრა

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის და სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სამსახურის ორგანიზებით, გაიმართა შეხვედრა ორგანიზაცია – „საფარის“ აღმასრულებელ დირექტორთან, ქალბატონ ბაია პატარაიასთან, თემაზე – „დისკრიმინაციის შემთხვევები და მათზე რეაგირება“. შეხვედრას ესწრებოდა თსსუ-ის ვიცე-რექტორი, პროფესორი ხათუნა თოდაძე.

სტუმარი შეკრებილთ ესაუბრა საქართველოში 5 წლის წინ მიღებული ანტიდისკრიმინაციული კანონის შესახებ. სტუდენტებს გააცნო დღევანდელი მდგომარეობა ამ მიმართულებით და ისაუბრა – კანონში განსახორციელებელ მიმდინარე თუ დაგეგმილ ცვლილებებზე. ქალბატონმა ბაიამ აუდიტორიას გააცნო სხვადასხვა დისკრიმინაცია და მათი განმარტებები, განიხილა შევიწროვების მაგალითები, როგორც სამუშაო ადგილას, ისე საჯარო სივრცეში. ისაუბრა, თუ როგორ უნდა მოხდეს მათზე რეაგირება, რომ თითოეული უნივერსიტეტი ვალდებულია, უზრუნველყოს ყველა თანამშრომლისა და სტუდენტისთვის პოზიტიური სამუშაო და სასწავლო გარემოს შექმნა. აქცენტები გაკეთდა ექიმსა და პაციენტს შორის კომუნიკაციაზე და ამ მიმართულებით შესაძლო შევიწროვების ტიპებზე, რომ ექიმმა პაციენტთან ურთიერთობისას ეთიკური საკითხებიც უნდა გაითვალისწინოს.

ვიცე-რექტორმა, პროფესორმა ხათუნა თოდაძემ აღნიშნა, რომ თსსუ ამ მიმართულებით აქტიურად ატარებს ღონისძიებებს და ისწავლება მთელი რიგი დისციპლინები, რომლებიც პაციენტსა და ექიმს შორის ურთიერთობებს ეხება და პაციენტის უფლებების დაცვისკენაა მიმართული.

გვერდი მოამზადა ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტის მე-2 სემესტრის სტუდენტმა ქეთი დავაძემ

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველ საუნივერსიტეტო კლინიკაში კრიტიკული მედიცინის დეპარტამენტი გაიხსნა



5 მაისს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველ საუნივერსიტეტო კლინიკაში კიდევ ერთი, თანამედროვე სტანდარტების მიხედვით აღჭურვილი, კრიტიკული მედიცინის დეპარტამენტი გაიხსნა.

კრიტიკული მედიცინის დეპარტამენტი გაშლილია 20 საწოლზე და აღჭურვილია უახლესი აპარატურით, რომელსაც სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ISO) მიერ მინიჭებული აქვს სერტიფიკატები.

თსსუ-ის მაღალტექნოლოგიური და მრავალპროფილური პირველი საუნივერსიტეტო კლინიკა 2015 წელს გაიხსნა. კლინიკა სამედიცინო უნივერსიტეტის ორ ათეულამდე სასწავლო დეპარტამენტის კლინიკური ბაზაა.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის გენერალურმა დირექტორმა, თსსუ-ის ანესთეზიოლოგია-რეანიმატოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა ლევან რატიანმა მადლიერებით აღნიშნა, რომ დეპარტამენტი განახლდა კლინიკის ადმინისტრაციის და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის თანადგომით და დაფინანსებით, რაც უმნიშვნელოვანესია, როგორც პაციენტების სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების თვალსაზრისით, ასევე, თსსუ-ის სტუდენტებისა და რეზიდენტებისთვის – მათ ყოველგვარი პირობა ექმნებათ, მაღალხარისხიანი დიპლომამდელი და დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების მიღების პარალელურად, აქტიურად იყვნენ ჩართულნი პრაქტიკულ სამედიცინო საქმიანობაში. აღსანიშნავია, თანამედროვე კრიტიკული მედიცინის დეპარტამენტს, აღჭურვილს მსგავსი უახლესი სამედიცინო აპარატურით, ამიერკავკასიის ქვეყნებში ანალოგი არ გააჩნია.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გ. ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკა უცხოელ სპეციალისტებს მასპინძლობს

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გ. ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკა ისრაელის წამყვანი საუნივერსიტეტო კლინიკების სპეციალისტებს: ასუტას სამედიცინო ცენტრის ბავშვთა ქირურგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელს, პროფესორ იცხაკ ვინოგრადს, ჰაიფას სამედიცინო ცენტრის ბავშვთა ქირურგიის და ტრანსპლანტაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელს, პროფესორ რან შტეინბერგს, მინინვაზიური ქირურგიული დეპარტამენტის ხელმძღვანელს, პროფესორ არკადი ვაჩნიანს და ჩიკაგოს (აშშ) საუნივერსიტეტო კლინიკის ბავშვთა ქირურგიის დეპარტამენტის ასისტენტ-პროფესორს, სარეზიდენტო პროგრამის ხელმძღვანელს, დებორა ლოეფს, მასპინძლობს.

ვიზიტის ფარგლებში, სპეციალისტები კლინიკაში რვა ურთულეს, ქირურგიული პათოლოგიების ოპერაციულ მკურნალობას ახორციელებენ, რომელიც 2018 წელს დაიგეგმა და რომელშიც აქტიურად არის ჩართული ბავშვთა ქირურგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი ავთანდილ კუტუბიძე. ოპერაციას ასევე, ესწრებიან კლინიკის ქირურგები, რეზიდენტები, რომლებიც აქტიურად იღებენ მონაწილეობას წინასაოპერაციო პროცესსა და პოსტოპერაციულ მეთვალყურეობაში.

„ჩვენ უკვე 2001 წლიდან ვმასპინძლობთ სპეციალისტებს ისრაელიდან. წლევანდელი ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული და განსახორციელებელი ოპერაციები 2018 წლის ოქტომბერში დაიგეგმა, მსგავსი ოპერაციები, ლაპაროსკოპიული მეთოდით, საქართველოში ჩატარებულია მხოლოდ ჩვენს კლინიკაში, უცხოელი კოლეგების დახმარებით და ეს, კიდევ ერთხელ მოწმობს იმას, რომ ჩვენ ვართ ინოვაციების იმპლემენტაციის ინიციატორები, რისთვისაც განსაკუთრებული მადლობა გვინდა გადავუხადოთ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს. ეს თანამშრომლობა იქნება უდიდესი გამოცდილება ქართველი ქირურგებისთვის და ხელს შეუწყობს თსსუ-ის ბაზაზე ლაპაროსკოპიული ქირურგიის შემდგომ განვითარებას,“ – აღნიშნა თსსუ-ის ბავშვთა ქირურგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა მერაბ ბუაძემ.

ვიზიტის ფარგლებში, ოპერაციების პარალელურად, თსსუ-ის სტუდენტებისთვის, რეზიდენტებისა და კლინიკის ექიმებისთვის სპეციალისტებმა საჯარო ლექციები წაიკითხეს. პროფესორმა დებორა ლოეფმა წაიკითხა ლექცია – „პედიატრიული ქირურგია - თანამედროვე გამოწვევები“. მან სხვადასხვა ოპერაციის განხილვის მაგალითზე, აუდიტორიას გაუზიარა ჩიკაგოში არსებული გამოცდილება ამ მიმართულებით.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გ. ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკა ახალი აპარატურით აღიჭურვა

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გ. ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკა ინტენსიური მოვლის და ნეონატალური განყოფილებებისთვის განკუთვნილი ახალი სამედიცინო აპარატურით აღიჭურვა. 400 000 ლარამდე ღირებულების აპარატურა კლინიკას ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასმა საქართველოში გადასცა.

აღნიშნული დონაცია შეადგენს ჩეხეთის რესპუბლიკის საერთაშორისო განვითარების სფეროში თანამშრომლობის პროექტის - „ბავშვთა ხანგრძლივი მოვლისა და პალიატიური მზრუნველობის სერვისების დანერგვა საქართველოში“ - ნაწილს, რომელიც ინიცირებულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ.

პროექტის მიზანი ხანგრძლივი მოვლისა და პალიატიური მზრუნველობის სერვისების განვითარებაა ინკურაბელური და ქრონიკული დაავადებების მქონე ბავშვებისათვის. ამ მიზნით, ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასი უზრუნველყოფს ჯანდაცვის სამინისტროსთვის ტექნიკურ მხარდაჭერას ბავშვთა ხანგრძლივი მოვლის სერვისების ინსტიტუციურ მოწყობაში, ასევე, აღნიშნულ კლინიკას დახმარებას უწევს ბავშვთა სამედიცინო სერვისების ხარისხის გაუმჯობესებაში.

ღონისძიებას ჩეხეთის რესპუბლიკის ელჩის მოვალეობის შემსრულებელი ირჟი პრეცლიკი, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე ზაზა ბოხუა, ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასის წარმომადგენლები, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კანცლერი, პროფესორი ზურაბ ორჯონიკიძე, ვიცე-რექტორი, პროფესორი რიმა ბერიაშვილი, გ. ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკის გენერალური დირექტორი, ასოცირებული პროფესორი ლია ძიძიგური და უნივერსიტეტის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. მათ აღნიშნეს, რომ განხორციელებულ დონაციას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს თითოეული მხარისთვის.

ჩეხეთის რესპუბლიკის ელჩის მოვალეობის შემსრულებელმა, ირჟი პრეცლიკიმ, აღნიშნა, რომ ჩეხეთის რესპუბლიკა ყოველთვის მზად არის, მხარი დაუჭიროს საქართველოს და გაუზიაროს საკუთარი გამოცდილება ამ მიმართულებით, იმისთვის რომ სამედიცინო სერვისები მოსახლეობისთვის იყოს ხელმისაწვდომი და კიდევ უფრო განვითარდეს.

ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ, პროფესორმა ზაზა ბოხუამ, განაცხადა, რომ მემორანდუმის ფარგლებში მხარეებს შორის თანამშრომლობა კიდევ გაგრძელდება და ერთობლივი მუშაობით საქართველოში ისეთი სერვისები შეიქმნება, როგორიც ყველა განვითარებულ ქვეყანაში უნდა იყოს.

უნივერსიტეტის კანცლერმა, პროფესორმა ზურაბ ორჯონიკიძემ, დიდი მადლობა გადაუხადა ინიციატივისთვის ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და ჩეხეთის რესპუბლიკის მხარეს. ასევე, იმისთვის, რომ სწორედ გ. ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკა შეირჩა დონაციისთვის და აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი და კლინიკა მზად არის სერვისების განვითარებისთვის და მომავალშიც აქტიურად ჩაერთვებიან მსგავსი სახის ინიციატივების განხორციელებაში.

ღონისძიებაზე, ასევე, აღინიშნა, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი გ. ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკის გვერდით ააგებს ხუთსართულიან კორპუსს, რომელიც არსებულ შენობას შეუერთდება, სადაც განხორციელდება პალიატიური სერვისი მზრუნველობამოკლებული ბავშვებისთვისაც. გადმოცემული აპარატურა შემდგომ სწორედ ამ შენობაში განთავსდება.

უფასო მრავალპროფილური პედიატრიული გამოკვლევები



თსსუ-ის გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიურმა კლინიკამ, უფასო მრავალპროფილური, პედიატრიული გამოკვლევების ჩატარების მიზნით, ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანების შვილებსა და შვილიშვილებს უმასპინძლა. უფასო გასინჯვები ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურისა და ა(ა)იპ – „ქართული ოცნება – ჯანმრთელი მომავლის“ – ინიციატივით დაიგეგმა.

სამედიცინო აქციაში მონაწილეობა მიიღეს როგორც თბილისში რეგისტრირებულმა, ასევე, წალკიდან და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებიდან სპეციალურად ამ კვლევებისთვის ჩამოყვანილმა 16 წლამდე ასაკის ბავშვებმა. სამედიცინო მომსახურება გაეწია 80-ზე მეტ პაციენტს. კლინიკა მომავალშიც აქტიურად გეგმავს აქციებში ჩართვას.

„გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკისთვის საქველმოქმედო აქციებს უკვე ტრადიციული ხასიათი მიეცა და მომავალშიც დაგეგმილია მსგავსი სახის აქტივობები. განსაკუთრებით გვსურს ვეწვიოთ საქართველოს მაღალმთიან რეგიონებს, რათა ადგილზე გავუწიოთ სამედიცინო მომსახურება ბავშვებს. მომდევნო გასვლითი საქველმოქმედო აქცია უკვე დაგეგმილია“, – განაცხადა კლინიკის გენერალურმა დირექტორმა, ასოცირებულმა პროფესორმა ლია ძიძიგურმა.

ავსტრიული მედია თსსუ-ის რექტორის, პროფესორ ზურაბ ვადაჭკორიას, ინსბრუკში საქმიანი ვიზიტის შესახებ

Kooperation mit Tiflis intensiviert

Ende März besuchte Prof. Zurab Vadachkoria, Rektor der Medizinischen Universität Tiflis (Georgien), die Universität Innsbruck. Es gibt bereits eine enge Kooperation zwischen dem Institut für Analytische Chemie und Radiochemie und dem Austrian Drug Screening Institut (ADSI) der Universität Innsbruck um Prof. Günther Bonn einerseits und der Pharmazeutischen Fakultät der Medizinischen Universität Tiflis im Bereich der Analytik von Pflanzeninhaltsstoffen in unterschiedlichen Heilpflanzen andererseits. Thema des Besuchs war ein Ausbau der erfolgreichen Kooperation beider Universitäten.

Prof. Günther Bonn, Rektor Tilmann Märk und Rektor Zurab Vadachkoria (v.l.). Foto: ADSI

ინსბრუკის უნივერსიტეტის ყოველთვიური მოხსენების ერთ ნაწილს განსაკუთრებული ადგილი დაეთმო ავსტრიულ მედიაში. თსსუ-ის რექტორის, პროფესორ ზურაბ ვადაჭკორიას, ვიზიტმა ქალაქ ინსბრუკის სახელმწიფო უნივერსიტეტში საფუძველი ჩაუყარა სამეცნიერო დონეზე ურთიერთთანამშრომლობას ფარმაციისა და ანალიტიკური ქიმიის ფაკულტეტებთან, რაც ქართველ მეცნიერებს საშუალებას მისცემს ავსტრიელ კოლეგებთან ერთად აწარმოონ კვლევები სამკურნალო მცენარეებზე.

ანალიტიკური ქიმიისა და ფარმაციის ინსტიტუტის დირექტორის, პროფესორ ბონის ინიციატივით კი დაიგეგმა ურთიერთთანამშრომლობა ავსტრიის ფარმაკოლოგიურ სკრინინგ ინსტიტუტსა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფარმაციის ფაკულტეტს შორის.

GIMPHA-ს ჯანდაცვის მე-6 საერთაშორისო კონფერენციაზე

2019 წლის 18-19 მაისს, თბილისში, სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიაში“, ქართული ინტერნაციონალური სამედიცინო და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ასოციაციის (GIMPHA) ორგანიზებით, ჯანდაცვის მე-6 საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა.

კონფერენციის მიზანი იყო საქართველოსა და და ევროპაში მოღვაწე ქართველი და უცხოელი მედიკოსების შეხვედრა, მათი ცოდნის, გამოცდილების და უახლესი ინფორმაციის ურთიერთგაზიარება, სამეცნიერო და პროფესიული დისკუსიების გამართვა, ახალი პროფესიული, მათ შორის, კოლაბორაციული გეგმების დასახვა.

კონფერენციის ფარგლებში რამდენიმე სესია გაიმართა ინფექციური სნეულებების, ტრავმატოლოგიის, ნევროლოგიის, ფარისებრი ჯირკვლის სიმსივნეების დიაგნოსტიკისა და მკურნალობის, კარდიოვასკულური ქირურგიის გამოწვევების, კუჭისა და კოლორექტული სიმსივნეების მკურნალობის ასპექტების და სხვ. შესახებ.

კონფერენციის ფარგლებში, ასევე, გაიმართა GIMPHA-ში გაერთიანებული სტუდენტების მიერ 2019 წელს რჩეული ლექტორების დაჯილდოება. ამჯერად თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტური ჯგუფის მიერ წლის საუკეთესო ლექტორად, საბაზისო სპეციალობების მიმართულებით, არჩეული და დასახელებულია პროფესორი ირინე კვაჭაძე – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და ფიზიოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, რაც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესურის კიდევ ერთი აღიარება და გამარჯვებაა, რასაც გულწრფელად ვულოცავთ ქალბატონ ირინას.

თსსუ-ის საპატიო დოქტორს, გიორგი გრიგოლიას, ჯილდო გადაეცა

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები წარმატებით მოღვაწეობენ არა მარტო სამშობლოში, არამედ მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში. მათ ქვეყნის აღმშენებლობის პროცესში შორეული უცხოეთიდან შეაქვთ დიდი წვლილი და ქართულ საქმეს ერთგულად ემსახურებიან.

ახლახან პროექტის – „დიასპორის წარმომადგენელთა განსაკუთრებული ღვაწლის აღიარება“ – ფარგლებში გამართული კონკურსის შედეგად, რომელიც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრისა (ICMPD) და ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის (ENIGMMA) თანამშრომლობით შედგა, 6 სხვადასხვა ნომინაციაში 11 წარმომადგენელი დაჯილდოვდა.

10 მაისს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა, ბატონმა დავით ზალკანიანმა, დიასპორის დაჯილდოების ოფიციალურ ცერემონიას უმასპინძლა.

გამარჯვებულებს ექვთიმე თაყაიშვილის მიერ შეგროვებული და გადარჩენილი ანტიკური ხანის ქართული ოქრომჭედლობის და საქართველოს კულტურის უმნიშვნელოვანესი ექსპონანტების ასლები გადაეცათ.

ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოს მთავრობის და პარლამენტის წევრები, საქართველოს პრეზიდენტის და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, მოწვეული უცხოელი და ქართველი სტუმრები.

მეცნიერებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის დაჯილდოვდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, მიუნხენის ლუდვიგ-მაქსიმილიანის სახელობის უნივერსიტეტის მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი, პროფესორი გიორგი გრიგოლია, რომლის წვლილი განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოსა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლების დაახლოებაში.

გიორგი გრიგოლიამ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ წარმატებით გააგრძელა მოღვაწეობა გერმანიაში, კერძოდ ქალაქ მიუნხენში, სადაც გაიარა პროფესიული სრულყოფის გზა – წარმატებით დაამთავრა მიუნხენის ლუდვიგ მაქსიმილიანის უნივერსიტეტი, ამავე უნივერსიტეტში დაიცვა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი, ქირურგიის ცენტრალურ კათედრაზე გაიარა ქირურგიაში კვალიფიკაციის ყველა საფეხური და, ამჟამად, უკვე რამდენიმე წელია, წარმატებით მოღვაწეობს მიუნხენის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის ერთ-ერთი აკადემიური ბაზის ქირურგიული განყოფილების უფროსი ექიმის თანამდებობაზე.

გამორჩეულია მისი ღვაწლი ქართულ-გერმანული ურთიერთობების განმტკიცების და ნიჭიერი ქართველი ახალგაზრდების ხელშეწყობის საქმეში.

რამდენიმე წლის წინ, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ბაზაზე, ამავე უნივერსიტეტის წარჩინებული სტუდენტებისთვის, დააარსა მამის, ღვაწლმოსილი ქირურგის, პროფესორ ნოდარ გრიგოლიას სახელობის სტიპენდია.

გიორგი გრიგოლიას ძალისხმევით და გერმანელი კოლეგების დახმარებით დაარსდა გიორგი გრიგოლიას სახელობის პროგრამა, რომლის საშუალებით, ბოლო 15 წლის მანძილზე, დაახლოებით 400 სტუდენტს და ახალგაზრდა ექიმ-რეზიდენტს, როგორც ამ პროგრამის სტიპენდიატს, მიეცა ცოდნის გაღრმავების შესაძლებლობა მიუნხენის უნივერსიტეტის ცენტრალურ და აკადემიურ კლინიკებში. აღსანიშნავია ისიც, რომ სწორედ ამ პროგრამის ფარგლებში, დაახლოებით 500 000 ევროს ოდენობის ფინანსური და მატერიალური დახმარების გაწევა მოხერხდა ჩვენი უნივერსიტეტის სტიპენდიატი სტუდენტებისა და ექიმი რეზიდენტებისთვის.

საყვარელი ალმა-მატერის, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის და, ზოგადად, მედიცინის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის, 2013 წელს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა გიორგი გრიგოლიას საპატიო დოქტორის წოდება მიანიჭა.

იგი ხშირად სტუმრობს საყვარელ უნივერსიტეტს ნაყოფიერი ვიზიტებით. როგორც ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნავს, მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრების ნახევარი გერმანიაში საქმიანობას მიუძღვნა, მისთვის ძვირფასი და დაუვიწყარია სამშობლოში გატარებული წლები.

განსაკუთრებით ამაყობს, რომ თსსუ-ის კურსდამთავრებულია და სწორედ ამ უნივერსიტეტში სწავლის წლებს მიიჩნევს უმნიშვნელოვანესად მის პიროვნებად ჩამოყალიბებაში.

აღსანიშნავია, რომ ჩვენი უახლესი ისტორიის ურთულეს პერიოდში, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს, გიორგი გრიგოლია, გერმანიაში აქტიურად იყო ჩართული დაჭრილი თანამემამულეების მკურნალობის საქმეში.

გიორგი გრიგოლია მნიშვნელოვან და ნაყოფიერ მოღვაწეობას ჩვეული ენთუზიაზმით აგრძელებს. გვჯერა, მისი ხელშეწყობით კვლავ არაერთი ახალგაზრდა გაიღრმავებს ცოდნას უცხოეთში და მაღალპროფესიონალად ჩამოყალიბდება.

ვულოცავთ ბატონ გიორგის ამ მნიშვნელოვან ჯილდოს და კვლავ არაერთ წარმატებას ვუსურვებთ ჩვენი ქვეყნის და უნივერსიტეტის სასიკეთოდ.

ნატო ბოლქვაძე

სტუდენტთა V სასწავლო კონფერენცია

3 მაისს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „ცისფერ დარბაზში“ ქვეყნის სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტები შეიკრიბნენ, მე-5 სამედიცინო სამეცნიერო კონფერენციაზე – (MTC), რომლის ორგანიზატორი იყო ივ. თარხნიშვილის სახელობის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოება.

სტუდენტური მოხსენებები შეეხებოდა მედიცინის უახლეს მიღწევებსა და მკურნალობის ინოვაციურ მეთოდებს. ჟიურიმ დაასახელა სამი საუკეთესო სტუდენტური მოხსენება: „ღეროვანი უჯრედების ტრანსპლანტაცია ხერხემლისა და ზურგის ტვინის დაზიანებების დროს“ (ელისო სიხარულიძე, მარიამ ელისაშვილი, თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის მე-10 სემესტრის სტუდენტები); „ფარმაკოკინეტიკა და მისი შესწავლის თავისებურებები ორსულობისა და ლაქტაციის პერიოდში“ (მარიამ ტატანაშვილი, თსსუ-ის ფარმაციის ფაკულტეტის მე-8 სემესტრის სტუდენტი); „უახლესი მიღწევები კარდიოლოგიაში – გულის ღეროუჯრედული თერაპია და ხელოვნური პარკუჭი“ (გიორგი ბოკერია, თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის მე-4 სემესტრის სტუდენტი).

ასეთ კონფერენციებში ჩართულობით სტუდენტები ეცნობიან მედიცინის სიახლეებს, იძენენ სამეცნიერო მუშაობის უნარ-ჩვევებს, ეჩვევიან ჯანსაღ კონკურენციაში მონაწილეობას, რაც მომავალი პროფესიული საქმიანობის ქვაკუთხედია.

საჯარო ლექცია სტუდენტებისთვის

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სამსახურის ინიციატივით და სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით, საქართველოს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის თავმჯდომარემ, ზაზა გაბუნიამ, სტუდენტებისთვის წაიკითხა საჯარო ლექცია – „ლათინური ამერიკის მწერლები და დიქტატორები”.

ზაზა გაბუნია მიესალმა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებს. მან განმარტა, რომ ლიტერატურა და პოლიტიკა ის თემებია, რომელიც მას, როგორც პიროვნებასა და პოლიტიკოსს, ყველაზე მეტად მიესადაგება. რაც შეეხება კონკრეტულ არჩევანს – ლათინური ამერიკის ლიტერატურა და პოლიტიკური ცხოვრება ძალიან საინტერესოა ფართო აუდიტორიისთვის, ამიტომაც ის სწორედ ამ თემაზე ესაუბრა ახალგაზრდებს.

26 მაისი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა საქართველოს დამოუკიდებლობის დღე ქუთაისში აღნიშნა

26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად, ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში თემატური ღონისძიებები გაიმართა. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინიციატივით, კამპანიის – „გააზიარე ცოდნა“ – ფარგლებში ქუთაისში წარმოდგენილი იყო შესაბამისი პავილიონები. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, ტრადიციულად, დამთვალიერებლებს მრავალფეროვან შემეცნებით და სანახაობრივ აქტივობებს სთავაზობდა.

ინტერესი ძალიან დიდი იყო და დამთვალიერებელთა რიცხვი მთელი დღის განმავლობაში არ წყდებოდა.

მათ საშუალება ჰქონდათ გაცნობოდნენ: თსსუ-ის კლინიკური უნარებისა და მულტიდისციპლინური სიმულაციის ცენტრის, თსსუ-ის აპოლონ ურუშაძის სახელობის სტომატოლოგიური კლინიკის მიერ წარმოდგენილ თანამედროვე მულაჟებს, მოლეკულური გენეტიკის დეპარტამენტის მიერ ჩატარებულ აქტივობას – ,,წაიღე შენი დნმ“. დამთვალიერებლები თავად ერთვებოდნენ პრაქტიკულ სამუშაოებსა და მანიპულაციებში.

თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით, ჩატარდა ინტერაქტიული გათამაშებები, რომელიც სწორედ ცოდნის პოპულარიზაციასა და სწავლის მოტივაციის ამაღლებას ისახავდა მიზნად – მონაწილეებს უნდა ეპასუხათ კითხვებზე საბუნებისმეტყველო მეცნიერებებიდან და საქართველოს ისტორიიდან. გამარჯვებულებს გადაეცათ სამახსოვრო საჩუქრები.

26 მაისი საქართველოს დამოუკიდებლობის დღეა, უკვე 101 წელია ქვეყანა ცდილობს, მყარად დადგეს ფეხზე და თავისუფლების იდეა რეალობად აქციოს. ამ გზაზე უამრავი სირთულე შეხვდა საქართველოს. 21-ე საუკუნის მოთხოვნების გათვალისწინებით, ერთადერთი ძალა, რომელსაც შეუძლია ამ სირთულეების გადალახვა და ნამდვილი თავისუფლების მიღწევა, ცოდნაა. სწორედ ეს იდეა – ცოდნის იდეა უნდა იყოს წარმმართველი ქვეყნის აღორძინებისთვის ბრძოლაში. კამპანია – „გააზიარე ცოდნა“ სწორედ ამიტომ გახდა 26 მაისის დღესასწაულის ფარგლებში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და საინტერესო.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი გილოცავთ ეროვნულ დღესასწაულს!

ბედნიერ და ძლიერ ქვეყანაში გვეცხოვროს!



ხსოვნა

პროფესორ გაიოზ ვასაძის გახსენება

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დღევანდელი თაობა დამსახურებულად ამაყობს მეცნიერთა იმ „ოქროს ფონდით“, რომლებმაც შორს გაუთქვა სახელი ქართულ მედიცინას, მის სამეცნიერო პოტენციალს და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს.

მათ შორის, ვინც თავისი შეგნებული ცხოვრება უამრავი სიძნელეების გადალახვით, დაუღალავი შრომით, რუდუნებით და მიზანდასახულობით უძღვნა ჩვენს ქვეყანაში მედიცინის მეცნიერებისა და პრაქტიკის განვითარებას, იყო გაიოზ (გიზო) ვასაძე, რომელსაც გასული წლის მაისის თვეში 90 წელი შეუსრულდებოდა. მეორე წელია, მისი ოჯახი, აღზრდილები და თანამოაზრეები ბატონი გაიოზის გარეშე აღნიშნავენ მის დაბადების დღეს.

გაიოზ ვასაძე დაიბადა 1928 წლის 14 მაისს, სამხედრო მოსამსახურის ოჯახში. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის V კურსის სტუდენტი, სასწავლებლად გადავიდა ლენინგრადის სამხედრო-სამედიცინო აკადემიაში, რომლის ოქროს მედლით დასრულების შემდეგ, სამი წელი მსახურობდა კუიბიშევის (დღევანდელი სამარის) ოლქში სამხედრო პოლკის ექიმად, შემდეგ სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობა გააგრძელა პათოლოგიური ფიზიოლოგიის კათედრაზე. დაიცვა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები, მაგრამ ბატონ გაიოზს გულმა სამშობლოსკენ გამოუწია. 1960 წელს დაბრუნდა თბილისში და მუშაობა დაიწყო პროფესორ იოსებ ჟორდანიას მიერ შექმნილ ქალთა ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ექსპერიმენტული ქირურგიის ლაბორატორიის ხელმძღვანელად.

1961-63 წლებში გაიოზ ვასაძე ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეა, სადაც ჩამოაყალიბა ექსპერიმენტული პათოლოგიისა და სამედიცინო რადიოელექტრონიკის ლაბორატორია.

გაიოზ ვასაძე გახლდათ საქართველოში სამედიცინო კიბერნეტიკისა და სამედიცინო ინფორმატიკის ფუძემდებელი.

1963-71 წლებში დაინიშნა ჯანდაცვის სამინისტროს ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ინსტიტუტის სამედიცინო კიბერნეტიკის განყოფილების გამგედ და სამეცნიერო დარგში ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ. 1978-94 წლებში სათავეში ედგა საქართველოს ინფორმატიკისა და კომპლექსური ავტომატიზაციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს. 1985 წელს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, მისი ინიციატივით, გაიხსა სამედიცინო კიბერნეტიკისა და ინფორმატიკის კათედრა, რომელსაც იგი ხელმძღვანელობდა 1992 წლამდე.

ბატონი გაიოზი წლების განმავლობაში გახლდათ საქართველოს სამედიცინო მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი დამაარსებელი, პრეზიდიუმის მდივანი და ექსპერტთა საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს სამედიცინო ინფორმატიკისა და ბიოსამედიცინო ინჟინერიის ასოციაციის პრეზიდენტი. ფასდაუდებელია მისი ღვაწლი ქართული სამედიცინო მეცნიერების წინაშე. 6 მონოგრაფიის, 340-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი საქმიანობისთვის დაჯილდოებული იყო არაერთი მედლით და ორდენით.

გაიოზ ვასაძე თანამშრომლობდა ჰუმბოლტების უნივერსიტეტის (შარიტე ბერლინი) მეცნიერებთან. ერთობლივი კვლევა ეხებოდა სისტემურ-ანალიტიკური ფსიქოფიზიოლოგიური გამოკვლევების მეთოდს, რომელიც გამოქვეყნდა უცხოურ სამეცნიერო ჟურნალებში და დაიბეჭდა მონოგრაფიად.

ბატონი გაიოზისთვის ყველაზე დიდი ჯილდო ოჯახი გახლდათ. მეუღლე – ბეატრისა ქაჯაია-ვასაძე, ჰემატოლოგიისა და სისხლის გადასხმის ინსტიტუტში მსახურობდა, ვაჟები – გურამი და ოთარი ღირსეულად აგრძელებენ მშობლების გზას.

ადამიანი წუთისოფლიდან ვერაფერს წაიღებს, თუ არა, ღირსეულ სახელს, თანამემამულეთა პატივისცემას და სიყვარულს, ქვეყნისთვის მის მიერ განეული სამსახურის საზოგადოებისგან აღიარებას.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, კიდევ ერთხელ პატივისცემით იხსენებენ ღვაწლმოსილ მეცნიერს, თაობათა აღმზრდელს, ღირსეულ მამულიშვილს, პროფესორ გაიოზ ვასაძეს, და პატივს მიაგებ მის ხსოვნას.

მოამზადა მანანა ფხალაძემ

თეიმურაზ პეტრიაშვილი

ძალიან ძნელია, გამოსათხოვარ წერილში რამდენადმე მაინც ჯეროვნად და სრულყოფილად წარმოჩინდეს საზოგადოების ტკივილი მისი გამორჩეული წევრის ამქვეყნიური ცხოვრებიდან წასვლის გამო. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა კი დაკარგა მისი მართლაც გამორჩეული შვილი - თეიმურაზ პეტრიაშვილი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პათოფიზიოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს პათოფიზიოლოგთა სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარე, საქართველოს სამედიცინო-სოციალურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

ბატონი თეიმურაზ პეტრიაშვილის პიროვნულ, მოქალაქეობრივ, სამეცნიერო თუ პედაგოგიურ ღირსებათა ჩამონათვალი თითქმის არაფრის მთქმელია იმ კეთილშობილებას, კაცთმოყვარეობას, საიმედოობას, სიყვარულსა და სიკეთის ნიჭთან შედარებით, რასაც იგი ფლობდა და უშურველად ასხივებდა. ბატონი თეიმურაზი ტაქტის და დელიკატურობის მაგალითი ბრძანდებოდა ახლობლების, კოლეგებისა და სტუდენტებისთვის.

თავის მოვალეობას ბატონი თეიმურაზი ყოველთვის პირნათლად ასრულებდა. მას ახასიათებდა სიზუსტე და აკურატულობა ყველაფერში – მეცნიერებაში, სტუდენტთა, ასპირანტთა და დოქტორანტთა სწავლებაში, ნათქვამი სიტყვის შესრულებაში. დიდაქტიკა არ უყვარდა, თავის აზრს არავის ახვევდა, მაგრამ სათქმელს ყოველთვის მკაფიოდ ამბობდა; რაც ყველაზე მნიშვნელოვანია – კოლეგებს, მსმენელებსა და სტუდენტებს აძლევდა დამოუკიდებელი ფიქრის, ნაბიჯის გადადგმის საშუალებას; და თუ ეს ნაბიჯი სწორი არ იყო, მუდამ მზად გახლდათ მხარში დგომისა და დახმარებისთვის.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის (ამჟამად – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის) დამთავრების შემდეგ, 1972 წლიდან, ბატონი თეიმურაზი პროფესიულ საქმიანობას ამბროლაურში შეუდგა, რასთანაც მას მძლავრი ისტორიული ფესვები და სულის ყივილი აკავშირებდა. იგი რამდენიმე წელი ამბროლაურის რაიონის სანიტარიულ ექიმად და სასწრაფო სამედიცინო დახმარების პუნქტის ექიმ-თერაპევტად მოღვაწეობდა. ძალიან უყვარდა ეს საქმე და მოგვიანებით პატივისცემით და სიამოვნებით იგონებდა ამ პერიოდს. მაგრამ გონება და გუნება მას ახალგაზრდობასთან, მომავალ თაობასთან ურთიერთობისკენ უბიძგებდა. და აი, 1976 წელს, თეიმურაზ პეტრიაშვილი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პათოფიზიოლოგიის კათედრის (ამჟამად – დეპარტამენტის) ასისტენტი გახდა. ამის შემდგომ მას სხვაგან არც უმუშავია; მისი თითოეული დღე, ფიქრი და საქმე დაკავშირებული იყო მის Alma Mater-თან, სადაც თანმიმდევრულად განვლო აკადემიური და პროფესიული კარიერის საფეხურები: ბრძანდებოდა სამედიცინო ინსტიტუტის პათოფიზიოლოგიის კათედრის ასისტენტი (1976-1987), დოცენტი (1987-1995), პროფესორი (1995-2006), ასოცირებული პროფესორი (2006-2016), პროფესორი და დეპარტამენტის ხელმძღვანელი (2016-დან გარდაცვალებამდე). თეიმურაზ პეტრიაშვილის უბადლო უნარი, საერთო ენა მოეძებნა თითოეულ ადამიანთან, ადვილად გამხდარიყო მისი მეგობარი – ასაკის თუ სტატუსის მიუხედავად, მოეძებნა გამოსავალი ზოგჯერ გამოუვალი სიტუაციიდან, არ დარჩა შეუმჩნეველი გარშემომყოფებისა და კოლეგებისთვის. ეს შესაძლებლობები მან სრულად გამოავლინა არა მარტო აკადემიურ, არამედ ორგანიზაციულ-ადმინისტრაციულ პოზიციებზე მუშაობისას ჯერ თსსუ-ის სახელმწიფო სამედიცინო კოლეჯის დირექტორის მოადგილედ, მოგვიანებით – თსსუ-ის სამკურნალო (ამჟამად – მედიცინის) ფაკულტეტის დეკანის მოადგილედ, 2009 წლის შემდეგ კი – უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში მოღვაწეობის პერიოდში.

თეიმურაზ პეტრიაშვილი ბრძანდებოდა არაერთი სამეცნიერო პროექტის ავტორი და შემსრულებელი არა მარტო მისი მთავარი სამეცნიერო ინტერესების სფეროში – პათოფიზიოლოგიაში, არამედ ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინის სხვადასხვა მიმართულებითაც. ქრესტომათიულადაა აღიარებული თეიმურაზ პეტრიაშვილის, მისი უფროსი მეგობრის, კოლეგის და მენტორის, პროფესორ ვახტანგ ყიფიანის და მათი გუნდის წევრების კვლევები რეგიონული და მიკროჰემოცირკულაციის, სიმსივნეში სისხლის მიმოქცევის, პარანეოპლაზიური პროცესების მექანიზმების, თავის ტვინის ნეიროდეგენერაციული დაზიანებების დროს ოქსიდაციური სტრესის მექანიზმების შესწავლის მიმართულებით. თეიმურაზ პეტრიაშვილი იყო საქართველოში პათოფიზიოლოგიის მძლავრი სამეცნიერო სკოლის გამგრძელებელი, გაამდიდრა რა მისი დიდი მასწავლებლების – ვლადიმერ ვორონინის, ირინე ზაალიშვილის, თეიმურაზ ნათაძის, ვახტანგ ყიფიანის – სამეცნიერო და აკადემიური მემკვიდრეობა.

ბატონი თეიმურაზი ავტორია 80-მდე სამეცნიერო პუბლიკაციის და მეთოდური რეკომენდაციისა, რომელიც პათოფიზიოლოგიით დაინტერესებული ბევრი მკვლევარისთვის იყო, არის და კიდევ დიდხანს იქნება სამაგიდო წიგნი და გზამკვლევი; მაგრამ ქართველი საზოგადოებისთვის, მეტადრე – მომავალი თაობებისთვის, სრულიად განუზომელია თეიმურაზ პეტრიაშვილის მიერ ისტორიულ-ლიტერატურულ ჟანრში შექმნილი სრულიად განუმეორებელი მონოგრაფიები, თუ ჩანახატები საქართველოს ისტორიის გასხივოსნებული, დრამატული თუ ტრაგიკული ფურცლების შესახებ. თეიმურაზ პეტრიაშვილის საავტორო რადიო და ტელეგადაცემებმა და ინტერვიუებმა, სადაც იგი სიყვარულით გაჟღენთილ ტონალობაში მოგვითხრობს საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვანი ეპიზოდების და მათი შემოქმედი გმირების შესახებ, ობიექტურად დაიმკვიდრა ადგილი ისტორიული პუბლიცისტიკის ანალებში. საქმიანობის ეს სფერო თეიმურაზ პეტრიაშვილის მამულიშვილური გრძნობების და დამოკიდებულების კვინტესენციაა, თავად კი – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის თითქმის საუკუნოვანი ისტორიის კუთვნილება.

ბატონი თეიმურაზის წასვლით ჩვენს უნივერსიტეტს ერთი პირუთვნელი მემატიანე გამოეცალა... გვჯერა, თეიმურაზ პეტრიაშვილის საქმეს გააგრძელებენ მადლიერი კოლეგები და მოსწავლეები, მოყვარული და მისი გარდაცვალებით უკიდურესად გულნატკენი მეუღლე, ძმა და მისი ოჯახი, შვილები, შვილიშვილები, ახლობლები.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, ქედმოხრილი და მადლიერი, გულისტკივილით ემშვიდობება თეიმურაზ პეტრიაშვილს.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს ძალიან დააკლდებით, ბატონო თემურ! მშვიდობით!

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

ქართული ენის ქვეშ

– „შენ ისე ღრმა ხარ, ისე ფაქიზი, ქართულო ცაო...“ – განსაკუთრებით ამაღლებულად ჟღერდა ეს სიტყვები ლიტერატურულ საღამოზე, ქართული ენის ცენტრის სახელმწიფო პროგრამით ჩარიცხულმა სომეხმა და აზერბაიჯანელმა ახალგაზრდებმა, ქართული ენის და საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად რომ გამართეს.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ქართული ენის ცენტრის და ამ ღონისძიების ხელმძღვანელმა, პროფესორმა დარეჯან კუხიანიძემ, აუდიტორიას გააცნო ეს შესანიშნავი სტუდენტები, ვისაც მთელი გულით და სულით უყვარს საქართველო, ვისთვისაც სულ ერთი არაა ქართული ენის ბედ-იღბალი...

ანაჰიტ ანესიანმა, ნაზიკ ბალიანმა, არმენიუ ანტონიანმა, ალინა ვოსკანიანმა, მანი მარაბიანმა, გიორგი ანტონიანმა, ედუარდ ბარეკიანმა, რაფაელ გასპაროვმა, თამაშა ალახვერდოვამ, გუნელ გასანოვმა, ანარი ბაქიროვმა, ანა სირუნიანმა, ვრეჟ არუთინოვმა, კარენ ქეროპიანმა, ვალია პეტროსიანმა შესაშური ქართულით წაიკითხეს ქართველ კლასიკოსთა ლექსები, აუდიტორია დაატკბეს ქართული ჰანგებით, მოხიბლეს ცეკვებით...

საინტერესო იყო სტუდენტების მიერ მოწყობილი გამოფენა – კედლებს ამშვენებდა მათ მიერ შესრულებული შესანიშნავი ნახატები, ხელით ნაქსოვი ნაკეთობანი.

... არც სტუმრები აკლდა ამ საღამოს – კონცერტს ესწრებოდნენ – პროფესორი კახა გაბუნია, სახელმწიფო პროგრამა 1+4 -ის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, ასევე, ამ პროგრამაში ჩართული სხვადასხვა უნივერსიტეტის წარმომადგენლები ახალციხიდან, ბათუმიდან და ქუთაისიდან, პროფესორი ირაკლი მჭედლიშვილი, თსსუ-ს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანი.

დიდია ამ საქმეში მათი პედაგოგების, ქალბატონების - დარეჯან კუხიანიძის, თამარ კანთელაძის, მზია გაბედავას, ნინო დათიაშვილის – წვლილი და დამსახურება, მათი ყოველდღიური შრომის შედეგია ამ გოგო-ბიჭებისთვის ფართო თვალსაწიერის ჩამოყალიბება, მათთვის ქართული მიწისა და ენის სიყვარულის გაღვივება...

ძნელია ერთგულებაში მათ ბევრი შეედაროს, წარმოუდგენელია მათი სიყვარული ოდესმე დაიშრიტოს; გვჯერა, მთელ სულს და გულს უძღვნიან ისინი სამომავლოდაც თავიანთ საქართველოს, პროფესიული მოვალეობის შესრულების რთულ გზებზე...

დარეჯან კომლაძე

`samedicino gazeTis~
რედაქცია
ვაჟა-ფშაველას
გამზირი №33,
ოთახი №600,
ტ.: 254-24-64

რედაქტორი
lela mukbaniani
კორესპონდენტები:
manana fxalaZe
ტ.:555 29 98 27
darejan komlaZe
ტ.:558 17 08 47
nato bolqvaZe
ტ.:555 28 28 97
ელ-ფოსტა
newspaper@tsmu.edu